საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი **30.03.2020 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ციცინო ჩხაიძე, გიორგი ჩახვაძე,ზურაბ კუკულავა, დავით ჩხარტიშვილი, იოსებ ჩხაიძე და ამირან გიგინეიშვილი.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის NN325 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1800000 ლარი, რომელიც მიიმართა 2019 წლის დაწყებული პროექტების დასასრულებლად, კერძოდ ხიდების რეაბილიტაციაზე 1462502 ლარი და ნაპირსამაგრი სამუშაოების მოწყობაზე 337498 ლარი. ასევე, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის NN27 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო სკოლების რეაბილიტაციაზე 520000 ლარი. გარდა ამისა,

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის NN2752 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე გამოეყო 748000 ლარი. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მომართვის საფუძველზე, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, რეგიონული ადგილობრივი განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო გრანტი 309890 ლარი, რომლითაც დაფინანსდება ორი პროექტი. აქედან, ტურისტული მარშუტების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალომთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისთვის 67040 ლარი, მათ შორის გრანტით ფინანსდება 59890 ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება შეადგენს 7150 ლარს. გრიგოლეთის განაშენიანების გეგმის შემუშავებისთვის 250000 ლარი. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების წერილის საფუძველზე უნდა შემცირდეს საქონელი და მომსახურების ხარჯი 500 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 500 ლარით. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 08) სოცუზრუნველყოფის მუხლის 693 ლარით შემცირების ხარჯზე საჭიროა გაიზარდოს ამავე პროგრამის ტრანსპორტის ხარჯი 693 ლარით.

კომისიის თავმჯდომარეს, ალექსანდრე მახათაძემ მიმართა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, ბიუჯეტში ცვლილებასთან ერთად გაეთვალისწინებინა საკრებულოსთვის ახალი ფოტოაპარატის შესაძენად საჭირო თანხა. მან აღნიშნა, რომ ძველი ფოტოაპარატი გამოსულია მწყობრიდან და საკრებულოს გამართული მუშაობისთვის, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მეშვეობით მოსახლეობისთვის ინფორმაციის განთავსებისთვის აუცილებელია ახლი ფოტოაპარატის შეძენა.

კომიის წევრმა, იოსებ ჩხაიძემ მოსთხოვა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს მიმდინარე ბიუჯეტში ასასახი ცვლილება რომელ ტერიტორიულ ერთეულში და რა ინფრასტრუქტურულ პროექტებზეა გათვლილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-ერთი.(იოსებ ჩხაიძე)

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ პროექტი მომზადებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამართლებრივი ექსპერტიზის შენიშვნების გათვალისწინებით. კერძოდ, ცვლილება შევიდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის შესაბამისად, „მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი, რომელიც ამ კანონის ამოქმედების დროისთვის საჯარო მოხელეები ან შრომითი

ხელშეკრულებით დასაქმებული პირები არიან, ამ კანონის ამოქმედებისთანავე ჩაითვალოს ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად". ასევე, ცვლილება შევიდა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონში, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის (მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი) თანამდებობრივი სარგო აისახება შესაბამისი საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში. გასათვალისიწნებულია რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ ასევე აღნიშნა, რომ გარკვეულწილად პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ წარმომადგენლის ხელფასი არის 1000 ლარი, რის გამო ვერ სარგებლობენ საყოველთაო დაზღვევით, საჭიროა ამ კუთხით გონივრული ზომების გატარება.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი 30.03.2020 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №3

2020 წლის 30 მარტს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით:

- ბიუჯეტში ცვლილებასთან ერთად გათვალისწინებულიყო საკრებულოსთვის ახალი ფოტოაპარატის შესაძენად საჭირო თანხა. ვინაიდან ძველი ფოტოაპარატი გამოსულია მწყობრიდან.
- წარმოდგენილიყო ნუსხა, ბიუჯეტში ასასახი ცვლილება რომელ ტერიტორიულ ერთეულში და რა ინფრასტრუქტურულ პროექტებზეა გათვლილი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : **ალექსანდრე მახათაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

30.03.2020 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	13 : 50	
2	ციცინო ჩხაიძე	13 : 49	
3	გიორგი ჩახვაძე	13 : 40	
4	დავით ჩხარტიშვილი	14 00	
5	ამირან გიგინეიშვილი	13 50	
6	იოსებ ჩხაიძე	13 50	
7	აკაკი იმნაიშვილი	[illegible]	
8	ზურაბ კუკულავა	13 50	